

ისტორია

1. რა იყო სოლონის მიერ გატარებული რეფორმის ერთ-ერთი შედეგი?

ა. ვალების გამო თავისუფალი ადამიანის მონად გაყიდვის აკრძალვა

ბ. ქალებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭება

გ. მოსახლეობის დანაწილება წარმოშობის მიხედვით

დ. უხუცესთა საბჭოს - გერუსიის ჩამოყალიბება

2. რომელი ქალაქის მმართველი იყო პერიკლე?

ა. ათენის

ბ. კორინთოს

გ. სპარტის

დ. ტროას

3. რომელი ქვეყნის მიმართულებით წამოიწყეს ახალი გზების ძიება „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების“ დროს?

ა. იაპონიის

ბ. ინდოეთის

გ. ნორვეგიის

დ. მონღოლეთის

4. რომელ საუკუნეში დალაშქრა მურვან ყრუმ საქართველო?

ა. VI

ბ. VII

გ. VIII

დ. IX

5. ვინ იყვნენ ვენის კონგრესზე შექმნილი გერმანიის კავშირის, იგივე „გერმანული კონფედერაციის“ ყველაზე ძლიერი წევრები?

- ა. ბავარია და საქსონია
- ბ. საქსონია და პრუსია
- გ. პრუსია და ავსტრია
- დ. ავსტრია და ბავარია

6. სად გაიმართა ცნობილი ბრძოლა ატილას ჯარებსა და რომაელებს შორის 451 წელს?

ა. კანესთან

ბ. კატალაუნის ველზე

გ. მაგნეზიასთან

დ. რომის კედლებთან

7. რა უწოდეს ევროპელებმა აფრიკის უკიდურეს სამხრეთ წერტილს?

- ა. კეთილი იმედის კონცხი
- ბ. ახალი ოცნების კონცხი
- გ. ახალი გზის კონცხი
- დ. ახალი დიდების კონცხი

8. რა მოვლენამ უბიძგა პიკასოს, შეექმნა ცნობილი ნახატი „გერნიკა“?

ა. გერნიკას საკონცენტრაციო ბანაკის ნახვამ

ბ. გერნიკას მემორიალური მუზეუმის მონახულებამ

გ. კომუნისტების მიერ გერნიკას სამონასტრო კომპლექსის დანგრევამ

დ. ფრანკისტების მოკავშირე გერმანელების ავიაციის მიერ ქალაქ გერნიკას დაბომბვამ

9. რომელ სახელმწიფოებს შორის დაიდო ტილზიტის ზავი?

ა. ინგლისსა და საფრანგეთს

ბ. საფრანგეთსა და რუსეთს

გ. რუსეთსა და ესპანეთს

დ. ესპანეთსა და ინგლისს

10. „მთელი რიგი დოკუმენტები დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ უიმედო ქართული აფეთქება შეკვეთილი, მომზადებული და მხარდაჭერილი იყო ბურჟუაზიული მთავრობების მიერ“.
რა მოვლენას გულისხმობს ამ სიტყვების ავტორი, სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიჩერინი?

- ა. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას
- ბ. 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას
- გ. 1924 წლის აჯანყებას საქართველოში
- დ. 1937 წლის რეპრესიებს საქართველოში

11. ვისი მეფობის დროს შემოიჭრნენ თურქ-სელჩუკები საქართველოში პირველად?

- ა. ბაგრატ III-ის
- ბ. გიორგი II-ის
- გ. ბაგრატ IV-ის
- დ. გიორგი III-ის

12. რამ განაპირობა სოლომონ II-ის უცხოეთში გახიზვნა?

- ა. დასავლეთ საქართველოში მიმდინარე გლეხთა აჯანყებამ
- ბ. შინაომში მისი მიწინააღმდეგის, დავით გიორგის ძის გამარჯვებამ
- გ. ოსმალთა მიერ დასავლეთ საქართველოს დაპყრობამ
- დ. რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში განცდილმა მარცხმა

13. რომელი მოსაზრებაა მართებული იტალიის გაერთიანებასთან დაკავშირებით?

ა. ქვეყნის გაერთიანება მაძინის გეგმით წარიმართა და ამ პროცესში გადამწყვეტი როლი რომის რესპუბლიკამ ითამაშა

ბ. გაერთიანება პიემონტ-სარდინიის სამეფოს ირგვლივ მოხდა და ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა გარიბალდიც

გ. ბრძოლას გაერთიანებისათვის სათავეში სიცილიის მეფე ედგა და ყველაფერი კავურის გეგმის თანახმად მიმდინარეობდა

დ. მილანში დაწყებულმა რევოლუციამ და მეფე ვიტორიო-ემანუელეს გადადგომამ ხელი შეუწყო ქვეყნის გაერთიანებას

14. რა კონკრეტულ მიზანს ისახავდნენ II ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეები?

- ა. არაბთა მიერ დაპყრობილი ანტიოქიის საგრაფოს გათავისუფლებას
- ბ. სელჩუკთა მიერ დაკავებული იერუსალიმის გამოხსნას
- გ. მუსლიმთა მიერ მიტაცებული ედესის დაბრუნებას
- დ. ეგვიპტის სულთნის მიერ შევიწროებული კილიკიის საჰერცოგოს დახმარებას

15. რომელი საზავო კონფერენცია გაიმართა 1919 წელს?

ა. ჟენევის

ბ. პარიზის

გ. ვენის

დ. პოტსდამის

სწორი პასუხები: 1-ს; 2-ს; 3-ბ; 4-გ; 5-გ; 6-ბ; 7-ს; 8-დ; 9-ბ; 10-გ; 11-გ; 12-დ; 13-ბ; 14-გ; 15-ბ.